შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაცია“

აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის
დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

„ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ კლდეწნისში მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის და სარწყავი ქსელის აღდგენა-რეაბილიტაცია“ სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(CPV 45247000)

ქ. თბილისი
2016 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის 3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია (თანდართული დანართებით N1; 2; 3; 4; 5; 6; ნახაზები; ტექნიკური დავალება; ტექნიკური სპეციფიკაციები და ეკოლოგიური უსაფრთხოება) 4

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმა 13

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.7 ტენდერი ცხადდება ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე. ელექტრონული ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში.

1.8 სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდეგ, პრეტენდენტს უფლება აქვს, ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულებამდე, მხოლოდ ერთხელ, შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით.

1.9 თუ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტი მიიღებს დისკვალიფიკაციას, სატენდერო კომისია აფასებს სისტემის მიერ გამოვლენილ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის ვინაობა და სატენდერო წინადადება საჯარო ხდება ტენდერიდან წინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციისთანავე.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები - ტექნიკური დავალება
(ტექნიკური დავალების პირობები გათვალისწინებული იქნება შემდგომში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში):

2.1.1 ობიექტის აღწერილობა:

2.1.1 სამუშაოები მოიცავს ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ კლდეწნისში მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის და სარწყავი ქსელის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოებს, აღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულდეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ნახაზების, ტექნიკური დავალების, ტექნიკური სპეციფიკაციები და ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და დანართი N1-ში მოცემული კონკრეტული სამუშაოების, მოცულობების და პირობების შესაბამისად (დანართი N1, ნახაზები, ტექნიკური დავალება და ტექნიკური სპეციფიკაციები და ეკოლოგიური უსაფრთხოება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია ცალკე ფაილებად და ითვლება სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილად).

2.1.2 აღნიშნულ ობიექტზე სამუშაოების პროცესში პრეტენდენტის (შემდგომში მიმწოდებლის) მიერ გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს ახალი, ქარხნული წარმოების და მაღალის ხარისხის, რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი, ასევე სამუშაოების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას აღნიშნული სამუშაოებისთვის განკუთვნილი გამოსაყენებელი მასალებისა ან/და მოწყობილობების ნიმუშები მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში (მოთხოვნა შესაძლოა განხორციელდეს როგორც წერილობით ასევე სიტყვიერად), აღნიშნული ნიმუშები, როგორც ხარისხის, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით შეიძლება დაწუნებულ იქნას შემსყიდველის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ნიმუშები და/ან შესრულებული სამუშაო არ იქნება მოწონებული შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისათვის მისაღები მასალა, მოწყობილობა და სამუშაო. მიმწოდებელი ასევე ვალდებულია სამუშაოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და ვადების შესაბამისად საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს თავის ან/და შემსყიდველის მიერ მოწონებულ ლაბორატორიაში მასალების და კონსტრუქციების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე და შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნები გადასცეს შემსყიდველს.

2.1.3 სამუშაოების სრული ჩამონათვალი და მოცულობები იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ დანართი N1-ში. დანართ N1-ში გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს საკუთარი მასალებითა და ხარჯებით (იმ შემთხვევებში თუ დანართი N1-ში (ხარჯთაღრიცხვა) გამოსაყენებლ მასალებზე/დეტალებზე მითითებულია კონკრეტული მწარმოებლის მოდელები, აღნიშნული ფაქტი განპირობებულია დეტალების უკეთ აღწერის მიზნით და არ ავალდებულებს მიმწოდებელს ზუსტად მითითებული პროდუქციის მიწოდებას. აღნიშნულ შემთხვევაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელს შეუძლია წარმოადგინოს სხვა მწარმოებლის პროდუქცია, რომელსაც ექნება ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მასალის/დეტალის ექვივალენტური ან უკეთესი მახასიათებლები).

2.1.4 შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე) მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს შესახებ შედგენილი ფორმა N2 და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ, რომლითაც დადასტურებული იქნება შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და ღირებულება. ამასთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის შესრულებული სამუშაოების მოცულობების და ხარისხის დადგენის მიზნით მიმწოდებელმა აუცილებლად უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, ხოლო შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის შესრულებული სამუშაოების მოცულობების და ხარისხის დადგენის მიზნით მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა მხოლოდ შემსყიდველის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში მისივე მოთხოვნის შესაბამისად. (ორივე შემთხვევაში სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი)

2.2 სამუშაოს მიწოდების, ასევე საგარანტიო ვადები და პირობები

2.2.1 ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და დაასრულოს არაუგვიანეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ დანართი N2-ში მოცემული ვადების განმავლობაში, ამასთანავე სამუშაოები აწარმოოს დანართი N6-ში (დანართი N6 სისტემაში ატვირთულია ცალკე დოკუმენტად და ითვლება სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილად) მოცემული კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნული დანართები (N2, N6) პრეტენდენტის მიერ ატვირთულ უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

2.2.2 სამუშაოების შესრულების ადგილი მოცემულია დანართი N2-ში.

2.2.3 შესრულებულ სამუშაოებზე უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო პირობები სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ დანართი N3-ში მოყვანილი პირობების შესაბამისად.

2.3 ანგარიშსწორების პირობები:

2.3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.3.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით უნაღდო ანგარისწორებით ლარებში;

2.3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.3.4 ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განსაზღვრული და მასთან წინასწარ შეთანხმებული ოდენობის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 30%-ისა. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ გარანტიაში მითითებული უნდა იქნას შესყიდვის კონკრეტული დასახელება, აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი და პრეტენდენტის (ხელშეკრულებით _ მიმწოდებლის) საიდენტიფიკაციო კოდი. აღნიშნული გარანტია უნდა იყოს უპირობო, რომელიც ითვალისწინებს შემსყიდველის მიერ სათანადო წესით მოთხოვნილი ანაზღაურების გადახდას (გადარიცხვას) მოთხოვნისთანავე. გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. თეთრ სიაში რეგისტრირებული პრეტენდენტისთვის საბანკო გარანტიის ოდენობა ნახევრდება.

2.3.5. სამუშაოთა შესრულების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნი შესრულების ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზ(ებ)ის გამო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.3.6. წინასწარი ანგარიშსწორებისას, წინასწარ (ავანსი) გადარიცხული თანხის გამოქვითვა განხორციელდება მიმწოდებლისათვის განკუთვნილი გადახდებიდან თანხების დაკავებით მთლიანად ან/და ეტაპობრივად, სამუშაოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

2.3.7. გარდა ავანსის გამოქვითვისა, შემსყიდველი მიმწოდებელს დაუკავებს ასანაზღაურებელი თანხის 5%-ს. მიმწოდებლისათვის განკუთვნილი გადახდებიდან მთლიანად ან/და ეტაპობრივად, სამუშაოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველის შეხედულებისამებრ, აქედან ნახევარი დაუბრუნდება მას დეფექტებზე პასუხისმგებლობის პირველი პერიოდის (6 თვე) გასვლის შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი დაუბრუნდება მას დეფექტებზე პასუხისმგებლობის მთლიანი პერიოდის (1 წელი) გასვლის შემდეგ, მას შემდეგ რაც ორივე შემთხვევაში შემსყიდველი დაამოწმებს, რომ მის მიერ მითითებული ყველა დეფექტი გასწორებულია მიმწოდებლის მიერ დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდ(ებ)ის დასრულებამდე. სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ მიმწოდებელს შეუძლია შეცვალოს თანხის დაკავება უპირობო "მოთხოვნამდე" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიით. აღნიშნულ გარანტიაში მითითებული უნდა იქნას შესყიდვის კონკრეტული დასახელება, აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი და მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდი. აღნიშნული გარანტია უნდა იყოს უპირობო, რომელიც ითვალისწინებს შემსყიდველის მიერ სათანადო წესით მოთხოვნილი ანაზღაურების გადახდას (გადარიცხვას) მოთხოვნისთანავე. გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის მთლიან პერიოდს.

2.4. დამატებითი მოთხოვნები:

2.4.1 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

2.4.2 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

2.4.3 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: სამშენებლო მასალების, მანქანა-მექანიზმების და ტრანსპორტირების, აუცილებელი ნარჩენებისა და მასალებისგან სამშენებლო ობიექტის გათავისუფლებისა და დასუფთავების ხარჯები, ასევე საჰაერო ან/და მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთის შემთხვევაში, გადატანასთან (ასეთის შემთხვევაში) დაკავშირებით საჭირო სამუშაოებისა და ყველა სახის ნებართვების ხარჯები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში აგრეთვე ზიანის აღმოფხვრის ხარჯები და ყველა სხვა ხარჯი რომელიც აუცილებელი იქნება

შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ).
2.4.4 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.
2.4.5 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე პრეტენდენტი ვალდებულია მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მიზნით წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის ხარჯებს ანაზღაურებს პრეტენდენტი).

2.5 ქვეკონტრაქტორები
2.5.1 მიმწოდებელს უფლება აქვს უზრუნველყოს სამუშაოს წარმოება ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მონაწილეობით მხოლოდ შემსყიდველის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

2.6. ინფორმაცია ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო გამოცდილების შესახებ:
2.6.1 ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ ყველა მეწარმე სუბიექტს, ამასთან, უცხოური საწარმოს ფილიალის/წარმომადგენლობის შემთხვევაში საქართველოში რეგისტრაციის პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 3 წელს.
2.6.2 პრეტენდენტს 2014 წლიდან დღემდე განხორციელებული (შესრულებული) უნდა ქონდეს ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა ღირებულებაც ჯამში არ უნდა იყოს 5 180 000 (ხუთიმილიონ ასოთხმოციათასი) ლარზე ნაკლები, მათ შორის მინიმუმ 1 (ერთი) ობიექტის ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 727 000,00 (მილიონ შვიდას ოცდაშვიდი ათასი) ლარს. აღნიშნული ინფორმაციები პრეტენდენტის მიერ მითითებული უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ დანართ N4-ში. (დანართი N4 პრეტენდენტის მიერ ატვირთულ უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში).

2.7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:
2.7.1 ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%–ის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ნაცვლად 5%–ისა განისაზღვრება 10%-ის ოდენობით.
2.7.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული საბანკო დაწესებულების მიერ.
2.7.3 თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლებისათვის საბანკო გარანტიის ოდენობა ნახევრდება.
2.7.4 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიაში მითითებული უნდა იქნას შესყიდვის კონკრეტული დასახელება, აღნიშნული შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის SPA ნომერი და პრეტენდენტის (ხელშეკრულებით _ მიმწოდებლის) საიდენტიფიკაციო კოდი. აღნიშნული გარანტია უნდა იყოს უპირობო, რომელიც ითვალისწინებს შემსყიდველის მიერ სათანადო წესით მოთხოვნილი ანაზღაურების გადახდას (გადარიცხვას) მოთხოვნისთანავე.
2.7.5 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის.
2.7.6 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
2.7.7 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენა ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე.

2.8. პრეტენდენტის მიერ სისტემაში <u>სავალდებულოდ</u> ასატვირთი დოკუმენტებია:
2.8.1 სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი N1 **<u>(სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა).</u>** აღნიშნულ დანართში პრეტენდენტის მიერ მითითებულ უნდა იქნას შესასარულებელი სამუშაოების საერთო და ერთეულის ღირებულებები ამავე დანართით გათვალისწინებული რაოდენობებისა და მოცულობების შესაბამისად) ამავე დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ***პრეტენდენტის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას;***
2.8.2 სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი N2 **<u>(სამუშაოების შესრულების ვადები.</u>** აღნიშნულ დანართში პრეტენდენტის მიერ მითითებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოების კონკრეტული ვადები ამავე დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.8.3. სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი N3 (**<u>საგარანტიო ვადა და პირობები.</u>** აღნიშნულ დანართში პრეტენდენტის მიერ მითითებულ უნდა იქნას ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების გარანტიების

ვადებისა და პირობების შესახებ, ამავე დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად) ამავე დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.8.4. სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი N4 (**ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო გამოცდილება.** აღნიშნულ დანართში პრეტენდენტის მიერ მითითებულ უნდა იქნას ინფორმაცია ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ) ამავე დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.8.5. სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დანართი N5 (**რეკვიზიტები.** აღნიშნულ დანართში პრეტენდენტის მიერ მითითებულ უნდა იქნას ინფორმაცია ორგანიზაციის რეკვიზიტების შესახებ) ამავე დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.8.6. თანხმობა სამუშაოების წარმოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკზე დანართი N6-ში მოცემული შინაარსის უცვლელად **(სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი)**.

2.8.7. აღნიშნულ დანართებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები და აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოებს შესრულების აქტებისა (ფორმა N2) და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები იმ ორგანიზაცი(ებ)იდან სადაც 2014 წლიდან დღემდე განხორციელდა ჯამში არანაკლებ 5 180 000 (ხუთიმილიონ ასოთხმოციათასი) ლარის ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები დანართი N4-ში მოცემული სამუშაოების შესაბამისად რათა დადასტურდეს მოცემული სამუშაოების სრულყოფილად შესრულება. ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას სარეკომენდაციო წერილები იმ ორგანიზაციებიდან სადაც 5 180 000 (ხუთიმილიონ ასოთხმოციათასი) ლარის ფარგლებში განხორციელდა არანაკლებ 1 727 000,00 (მილიონ შვიდას ოცდაშვიდი ათასი) ლარის ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები რათა დადასტურდეს მოცემული სამუშაოების ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შესრულება. ამასთან სარეკომენდაციო წერილები გაცემული უნდა იყოს მოცემული ტენდერის გამოცხადების შემდგომ პერიოდში და დამოწმებული უნდა იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით. თუკი პრეტენდენტის მიერ მსგავსი ტიპის სამუშაოები განხოცილებულია შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაცია"-ში ასეთ შემთხვევაში შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაციის" მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ამასთან, მიუხედავად იმისა, შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაცია"-ში შესრულებული სამუშაოები არის თუ არა მითითებული დანართი N4-ში და შედის თუ არა 5 180 000 (ხუთიმილიონ ასოთხმოციათასი) ლარის ზოგად სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, ასევე აღნიშნული სამუშაოები განხორციელებულია 2014 წლიდან მომდევნო პერიოდში თუ მანამდე, შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაციის" სატენდერო კომისია იტოვებს უფლებას განიხილოს და შეაფასოს შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაცია"-ში პრეტენდენტის მიერ ნებისმიერ დროს განხორციელებული სამუშაოების ხარისხი, ოპერატიულობა და სრულყოფილება, ასევე პრეტენდენტის კეთილსინდისიერება სამუშაოების მიმდინარეობის ან/და შემდგომ პერიოდში და დასაბუთებული არგუმენტის (შპს ,,საქართველოს მელიორაციას" მიადგა თუ არა ფინანსური ან სხვა სახის ზიანი) საფუძველზე გააკეთოს დადებითი ან უარყოფითი შეფასება, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია შესყიდვის პროცედურიდან.

2.8.8. შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ამასთან შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნილი დოკუმენტების დედანი ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი (ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული) ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ (უფლებამოსილი პირის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას (ატვირთულ უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში) უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი).

2.8.9. აუცილებელი პირობა: ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისას პრეტენდენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს (არ უნდა იყოს დარღვეული) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დანართების ფორმები (მათ შორის ნუმერაცია) და არსებობის შემთხვევაში მათში მითითებული აუცილებელი პირობები.

2.9 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

2.10 დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების *მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის" მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6. საკონტაქტო პირი: მარიამ გოგუაძე 577768811.*

სამუშაოების შესრულების ვადები

სამუშაოს დასახელება	სამუშაოების შესრულების ადგილი	სამუშაოების შესრულების ვადა
1	2	3
ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ კლდეწნისში მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის და სარწყავი ქსელის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები დანართი N1-ში მოცემული სამუშაოების შესაბამისად	ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელი კლდეწნისი	სამუშაოები დაიწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან და დასრულდება არაუგვიანეს 210 კალენდარული დღის ვადაში.

შენიშვნა:

პრეტენდენტის მიერ მოცემული სამუშაოების შესრულების ვადის შემცირების შემთხვევაში შესაძლებელია მისი შეცვლა.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ / /

ბ.ა. **ხელმომწერის სახელი, გვარი**

მთლიანად შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა და პირობები

შესრულებული სამუშაოს დასახელება	**საგარანტიო პერიოდი (ვადა)**	**გარანტიის პირობები**	**გარანტიის პერიოდში აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრის ოპერატიულობა (ვადა)**
1	2	3	4
ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოებზე	საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 60 თვის განმავლობაში	საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა (შეკეთება და/ან შეცვლა ახლით), ასევე აღნიშნული სამუშაოების შესრულების პროცესში და საგარანტიო პერიოდში არახარისხოვნად შესრულებული სამუშაო(ებ)ს შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი სხვა ზიანის აღმოფხვრა	შეტყობინების მიღებიდან აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შედგენილ დეფექტურ აქტში მითითებული გონივრული ვადების შესაბამისად
დანადგარები და მოწყოლობები	საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 36 თვის განმავლობაში		
ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა სხვა სამუშაოებზე	საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში		
აუცილებელი პირობა: მე-3 გრაფაში მოცემული პირობის შესაბამისად ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს. აღნიშნულ აქტში გამოვლენილ ხარვეზებთან (დაზიანებებთან) ერთად მითითებულ უნდა იქნას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე დადგენილი ზიანის აღმოფხვრისთვის საჭირო გონივრული ვადები.			

შენიშვნა:

პრეტენდენტის მიერ მოცემული საგარანტიო პერიოდების გაზრდის შემთხვევაში შესაძლებელია მისი შეცვლა.

პრეტენდენტის ხელმოწერა ——————————————— / /

ბ.ა **ხელმომწერის სახელი, გვარი**

ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო გამოცდილება

№	კონტრაქტის მონაცემები	შესრულებული სამუშაოების ღირებულება	პრეტენდენტის როლი (მთავარი კონტრაქტორი, ქვე-კონტრაქტორი)	დაწყება	დასრულება
1	კონტრაქტის დასახელება:_____ შემსყიდველის დასახელება: _____ სამუშაოების მოკლე აღწერა:_____				
2	კონტრაქტის დასახელება:_____ შემსყიდველის დასახელება: _____ სამუშაოების მოკლე აღწერა:_____				
.					
n.					

შენიშვნა:
კონტრაქტის მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იქნას SPA ნომრები თუკი შესყიდვის პროცედურა განხორციელებულია ტენდერის საშუალებით, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

აუცილებელი პირობა:
აღნიშნულ ფორმაში პრეტენდენტის მიერ მითითებული უნდა იქნას ინფორმაცია 2014 წლიდან დღემდე განხორციელებული ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.
პრეტენდენტს აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული (შესრულებული) უნდა ქონდეს ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა ღირებულებაც ჯამში არ უნდა იყოს 5 180 000 (ხუთიმილიონ ასოთხმოციათასი) ლარზე ნაკლები, მათ შორის მინიმუმ 1 (ერთი) ობიექტის ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 727 000,00 (მილიონ შვიდას ოცდაშვიდი ათასი) ლარს.
აღნიშნულ დანართთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები და აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოებს შესრულების აქტებისა (ფორმა N2) და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები იმ ორგანიზაცი(ებ)იდან სადაც 2014 წლიდან დღემდე განხორციელდა ჯამში არანაკლებ 5 180 000 (ხუთიმილიონ ასოთხმოციათასი) ლარის ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები დანართი N4-ში მოცემული სამუშაოების შესაბამისად რათა დადასტურდეს მოცემული სამუშაოების სრულყოფილად შესრულება. ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას სარეკომენდაციო წერილები იმ ორგანიზაციებიდან სადაც 5 180 000 (ხუთიმილიონ ასოთხმოციათასი) ლარის ფარგლებში განხორციელდა არანაკლებ 1 727 000,00 (მილიონ შვიდას ოცდაშვიდი ათასი) ლარის ზოგადი სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები რათა დადასტურდეს მოცემული სამუშაოების ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შესრულება. ამასთან სარეკომენდაციო წერილები გაცემული უნდა იყოს მოცემული ტენდერის გამოცხადების შემდგომ პერიოდში და დამოწმებული უნდა იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით. თუკი პრეტენდენტის მიერ მსგავსი ტიპის სამუშაოები განხოცილებულია შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაცია“-ში ასეთ შემთხვევაში შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაციის“ მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ამასთან, მიუხედავად იმისა შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაცია“-ში შესრულებული სამუშაოები არის თუ არა მითითებული დანართი N4-ში და შედის თუ არა 5 180 000 (ხუთიმილიონ ასოთხმოციათასი) ლარის ზოგად სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, ასევე აღნიშნული სამუშაოები განხორციელებულია 2014 წლიდან მომდევნო პერიოდში თუ მანამდე, შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაციის“ სატენდერო კომისია იტოვებს უფლებას განიხილოს და შეაფასოს შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაცია“-ში

პრეტენდემტის მიერ ნებისმიერ დროს განხორციელებული სამუშაოების ხარისხი, ოპერატიულობა და სრულყოფილება, ასევე პრეტენდენტის კეთილსინდისიერება სამუშაოების მიმდინარეობის ან/და შემდგომ პერიოდში და დასაბუთებული არგუმენტის (შპს ,,საქართველოს მელიორაციას“ მიადგა თუ არა ფინანსური ან სხვა სახის ზიანი) საფუძველზე გააკეთოს დადებითი ან უარყოფითი შეფასება, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია შესყიდვის პროცედურიდან.

პრეტენდენტის ხელმოწერა ——————————————————— / /

ბ.ა **ხელმომწერის სახელი, გვარი**

დანართი №5

რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი

პრეტენდენტის დასახელება	
საინდეფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ოფისის ტელეფონი	
მობილური ტელეფონი	
ფაქსი	
E-mail	
ხელმძღვანელის თანამდებობა სახელი გვარი	
მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი	
ანგარიშის ნომერი	

პრეტენდენტის ხელმოწერა ——————————————————— / /

ბ.ა ხელმომწერის სახელი, გვარი

3.ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი **__ _____ 2016 წ**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციედლება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

*ერთის მხრივ **შ.პ.ს. „საქართველოს მელიორაცია“** მისი გენერალური დირექტორის ---------- სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ N6;*

_____

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ _____ მისი ————— სახით, იურიდიული მისამართი —— (შემდგომში მიმწოდებელი)

_____

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

შემსყიდველმა გამოაცხადა **ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ კლდეწნისში მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის და სარწყავი ქსელის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე (CPV45247000)** ელექტრონული ტენდერი **(SPA----------)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაოები ---------- (---------- ლარი და --- თეთრი) ლარად, მოცემული თანხა წარმოდგენილია ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო თანხის შესაბამისად.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“)** – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 **„ხელშეკრულების ღირებულება“** – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 **საბანკო გარანტია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია.

1.4 **„დღე“, „კვირა“, „თვე“** – კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

1.5 **„შემსყიდველი“** – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.6 **„მიმწოდებელი“** – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.7 **„სამუშაო“** – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.8 **„ტექნიკური დავალება“** – SPA ---------- ელქტრონულ ტენდერში გათვალისწინებული ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.9 **ტექნიკური სპეციფიკაციები და ეკოლოგიური უსაფრთხოება** – SPA ---------- ელქტრონულ ტენდერში გათვალისწინებული ტექნიკური სპეციფიკაციები და ეკოლოგიური უსაფრთხოება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1.10 **„ნახაზები“** – SPA ---------- ელქტრონულ ტენდერში გათვალისწინებული ნახაზები, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საგანია **ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ კლდეწნისში მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის და სარწყავი ქსელის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა,**

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **---------- (---------- ლარი და --- თეთრი) ლარს.**

2.3 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი - 2016 და 2017 წლების დაფინანსება.

2.4 ხელშეკრულების საერთო და ერთეულის ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს როგორიცაა: სამშენებლო მასალების, მანქანა-მექანიზმების და ტრანსპორტირების, აუცილებელი ნარჩენებისა და მასალებისგან სამშენებლო ობიექტის გათავისუფლებისა და დასუფთავების ხარჯები, ასევე საჰაერო ან/და მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთის შემთხვევაში, გადატანასთან (ასეთის შემთხვევაში) დაკავშირებით საჭირო სამუშაოებისა და ყველა სახის ნებართვების ხარჯები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში აგრეთვე ზიანის აღმოფხვრის ხარჯები და ყველა სხვა ხარჯი რომელიც აუცილებელია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ).

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ინსპექტირება

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ნახაზების, ტექნიკური დავალებისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, ასევე აწარმოოს ფარული სამუშაოების კონტროლი (არსებობის შემთხვევაში) და მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ან მისი ნაწილის მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობის დადგენა დანართი N1-ში მოყვანილ პირობებთან და შესაბამისად უზრუნველყოს ფორმა N2-ის გაფორმება.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ან/და მისი ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4. მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;

3.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, სამუშაოების ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

3.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს შემოწმების-ზედამხედველობის ჩატარების დროს.

3.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლს და ინსპექტირებას მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ----------.

4.სამუშაოს შესრულების ვადები და პირობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით განსაზღვრული სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან და დაასრულოს **210 კალენდარული დღის** განმავლობაში.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს ხელშეკრულების დანართი N2-ში (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N6) მოცემული კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

4.3. ობიექტის კონკრეტული ადგილმდებარეობაა ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. კლდეწნისი.

5.შესყიდვის იბიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მთლიანად შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარებისთვის (შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის) მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა N2, შესრულებული სამუშაოების მოცულობების და ხარისხის დადგენის მიზნით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი) და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ. სამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.

5.2. ეტაპის შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარებისთვის (შესრულებულ სამუშაოთა შუალედური მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე) მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა N2 და ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ. ხოლო სამუშაოების მოცულობების და ხარისხის დადგენის მიზნით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა შუალედური მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს მხოლოდ შემსყიდველის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში მისივე მოთხოვნის შესაბამისად. (ამ შემთხვევაშიც სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი).

5.3. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ში ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებულ პირთან ფორმა N2-ის ჩაბარების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანე მეორე სამუშაო დღისა წარუდგინოს შემსყიდველს ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი და აღნიშნული ფორმა N2-ის ერთი ეგზემპლალი. მიმწოდებელი ასევე ვალდებულია ექსპერტის მიერ მოთხოვნილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველი ახალი საბუთის და/ან დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნული ინფორმაცია და მოცემული საბუთ(ებ)ის და/ან დოკუმენტ(ებ)ის ასლები, ასევე აღნიშნული საბუთ(ებ)ის და/ან დოკუმენტ(ებ)ის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.5. სამუშაოების შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ----------.

6. გარანტია

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს: ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოებზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 60 თვეს, დანადგარებსა და მოწყობილობებზე-საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 36 თვეს, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა სხვა დანარჩენ სამუშაოზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 12 თვეს. საგარანტიო ვადის ათვლა დაიწყება სამუშაოების დასრულების შემდეგ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტზე ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან.

6.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ სამუშაოები განხორციელდება მაღალხარისხოვნად, სამშენებლო ნორმების და სტანდარტების სრული დაცვითა და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა იქნება ახალი, ქარხნული წარმოების და მაღალის ხარისხის, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა (შეკეთება ან/და შეცვლა ახლით), ასევე აღნიშნული სამუშაოების შესრულების პროცესში და საგარანტიო პერიოდში არახარისხოვნად შესრულებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი სხვა ზიანის აღმოფხვრა შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შედგენილ დეფექტურ აქტში მითითებული გონივრული ვადების შესაბამისად (საგარანტიო პერიოდში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს. აღნიშნულ აქტში გამოვლენილ ხარვეზებთან (დაზიანებებთან) ერთად მითითებულ უნდა იქნას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე დადგენილი ზიანის აღმოფხვრისთვის საჭირო გონივრული ვადები).

6.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებლის მხრიდან მე-6 მუხლით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

6.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების პერიოდში, აგრეთვე საგარანტიო ვადაში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე ან/და მესამე პირზე მიყენებული ზიანის რისკი ეკისრება მიმწოდებელს.

7.ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.4. 7.2 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 5.6 პუნქტში მითითებული პირი.

7.5 ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განსაზღვრული და მასთან წინასწარ შეთანხმებული ოდენობის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 30%-ისა. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ გარანტიაში მითითებული უნდა იქნას შესყიდვის კონკრეტული დასახელება, აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი და მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდი. აღნიშნული გარანტია უნდა იყოს უპირობო, რომელიც ითვალისწინებს შემსყიდველის მიერ სათანადო წესით მოთხოვნილი ანაზღაურების გადახდას (გადარიცხვას) მოთხოვნისთანავე. გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. თეთრ სიაში რეგისტრირებული პრეტენდენტისთვის საბანკო გარანტიის ოდენობა ნახევრდება.

7.6. სამუშაოთა შესრულების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიმწოდებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნი შესრულების ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზ(ებ)ის გამო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.7. წინასწარი ანგარიშსწორებისას, წინასწარ (ავანსი) გადარიცხული თანხის გამოქვითვა განხორციელდება მიმწოდებლისათვის განკუთვნილი გადახდებიდან თანხების დაკავებით მთლიანად ან/და ეტაპობრივად, სამუშაოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

7.8. გარდა ავანსის გამოქვითვისა, შემსყიდველი მიმწოდებელს დაუკავებს ასანაზღაურებელი თანხის 5%-ს. მიმწოდებლისათვის განკუთვნილი გადახდებიდან მთლიანად ან/და ეტაპობრივად, სამუშაოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველის შეხედულებისამებრ, აქედან ნახევარი დაუბრუნდება მას დეფექტებზე

პასუხისმგებლობის პირველი პერიოდის (6 თვე) გასვლის შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი დაუბრუნდება მას დეფექტებზე პასუხისმგებლობის მთლიანი პერიოდის (1 წელი) გასვლის შემდეგ, მას შემდეგ რაც ორივე შემთხვევაში შემსყიდველი დაამოწმებს, რომ მის მიერ მითითებული ყველა დეფექტი გასწორებულია მიმწოდებლის მიერ დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდ(ებ)ის დასრულებამდე. სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ მიმწოდებელს შეუძლია შეცვალოს თანხის დაკავება უპირობო "მოთხოვნამდე" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიით. აღნიშნულ გარანტიაში მითითებული უნდა იქნას შესყიდვის კონკრეტული დასახელება, აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი და მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდი. აღნიშნული გარანტია უნდა იყოს უპირობო, რომელიც ითვალისწინებს შემსყიდველის მიერ სათანადო წესით მოთხოვნილი ანაზღაურების გადახდას (გადარიცხვას) მოთხოვნისთანავე. გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის მთლიან პერიოდს.

8.ფასები

8.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

10.2.2. უზრუნველყოს ტერიტორიების მზადყოფნა სამუშაოების დასაწყებად.

10.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

10.2.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

10.2.5. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

10.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

10.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

10.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

10.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ს;

10.3.4. აღნიშნულ ობიექტზე სამუშაოების პროცესში მოთხოვოს მიმწოდებელს მის მიერ გამოსაყენებელი ყველა მასალა-მოწყობილობის საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი, ასევე სამუშაოების ნებისმიერ ეტაპზე მოთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნული სამუშაოებისთვის განკუთვნილი გამოსაყენებელი მასალებისა და მოწყობილობების ნიმუშ(ებ)ის წარმოდგენა. (მოთხოვნა შესაძლოა განხორციელდეს როგორც წერილობით ასევე სიტყვიერად), შემსყიდველს უფლება აქვს დაიწუნოს აღნიშნული ნიმუშები, როგორც ხარისხის, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით.

10.3.5 განაცხადოს უარი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღებაზე.

10.3.6. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

10.3.7. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
10.4.1. სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი ნახაზების, ტექნიკური დავალების, ტექნიკური სპეციფიკაციები და ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და დანართი N1-ში მოცემული კონკრეტული სამუშაოების, მოცულობების და პირობების მიხედვით (დანართი N1, ნახაზები, ტექნიკური დავალება და ტექნიკური სპეციფიკაციები და ეკოლოგიური უსაფრთხოება თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად);
10.4.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
10.4.3. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;
10.4.4. ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის კოორდინატორის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 2 (ორი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან/და სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების განხორციელების თარიღის შესახებ.
10.4.5. სამუშაოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და ვადების შესაბამისად საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს თავის ან/და შემსყიდველის მიერ მოწონებულ ლაბორატორიაში მასალების და კონსტრუქციების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე და შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნები გადასცეს შემსყიდველს.
10.4.6. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
10.4.7. წინასწარ შეათანხმოს შემსყიდველთან სამუშაოების პროცესში გამოსაყენებელი მასალების ხარისხი. ამასთანავე აღნიშნულ ობიექტზე სამუშაოების პროცესში შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მის მიერ გამოსაყენებელი ყველა მასალა-მოწყობილობის საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი, ასევე სამუშაოების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოებისთვის განკუთვნილი გამოსაყენებელი მასალებისა და მოწყობილობების ნიმუშ(ებ)ი მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში (მოთხოვნა შესაძლოა განხორციელდეს როგორც წერილობით ასევე სიტყვიერად), აღნიშნული ნიმუშები, როგორც ხარისხის, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით შეიძლება დაწუნებულ იქნას შემსყიდველის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ნიმუშები და/ან შესრულებული სამუშაო არ იქნება მოწონებული შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისათვის მისაღები მასალა, მოწყობილობა და სამუშაო.
10.4.8. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების, აღჭურვილობა და მექანიზმების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.
10.4.9. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
10.4.10. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები ობიექტის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.
10.4.11. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები, კერძოდ; უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა და მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე.
10.4.12. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.
10.4.13. მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაანთავისუფლოს სამუშაო ადგილები მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან (არსებობის შემთხვევაში), ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.
10.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
10.5.1 უზრუნველყოს სამუშაოს წარმოება ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მონაწილეობით მხოლოდ შემსყიდველის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.
10.5.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,07%-ის ოდენობით (ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც დაჭირდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის მიერ დასკვნის (ცნობის) გასაცემას);

11.2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ვად(ებ)ის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,07%-ის ოდენობით;

11.2.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;

11.2.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 11.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.7%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

11.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 0,07%-ის ოდენობით;

11.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

11.4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ფორს-მაჯორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.4.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 11.4.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

11.4.3. ხელშეკრულების 11.4.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზეც მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

14.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია N---------- გაცემული ---- წლის ------- ,,---------“ მიერ -------- (----------) ლარის უზრუნველსაყოფად.

14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

14.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 1 თვის ვადაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის დაბრუნებას.
14.4. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარ ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
15.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 201-წლის ----- ------ ------- ჩათვლით გარდა მე-6 პუნქტისა.
15.3 წინდამდებარე ხელშეკრულების მე-6 პუნქტი მოქმედებს 6.1 პუნქტში აღნიშნული ვადების განმავლობაში.
15.4 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა; ხელშეკრულების 1 ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', 2 ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
_____	_____